სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი

ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა 3
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა 4
ფინანსური ანგარიშგებები 6
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები 10

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
ფინანსური ანგარიშგება
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალის ხელმძღვანელობა

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შესაფერისი სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

დირექტორი
ზაურ ადალატ ოღლი მამადრაგიმოვი

ბუღალტერი
ლამზირა რობაქიძე

თარიღი: 20 დეკემბერი, 2017 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალის ხელმძღვანელობას

ანგარიში ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული საქმიანობის შედეგების ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე "- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის" შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში

მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვაგროვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა- განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი აუდიტზე, რომლის შესახებაცაა ეს დასკვნა, არის დავით გვეტაძე.

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“
თარიღი: 20 დეკემბერი, 2017 წელი

ფინანსური ანგარიშგება

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
საბალანსო უწყისი

	შენიშვნა	31 დეკ 2016	31 დეკ 2015
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	შენიშვნა 6	652,668	257,357
კლიენტებზე გაცემული სესხები		4,992,142	6,267,628
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა 7	190,758	243,054
არამატერიალური აქტივები		6,761	8,791
სხვა აქტივები	შენიშვნა 8	1,276,643	882,780
გადავადებული მოგების გადასახადი		-	154,207
სულ აქტივები		**7,118,972**	**7,813,818**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მიღებული სესხები	შენიშვნა 9	(5,265,420)	(4,979,508)
გადავადებული შემოსავალი		(44,042)	(44,042)
სხვა ვალდებულებები	შენიშვნა 10	(193,558)	(128,734)
გადასახდელი მიმდინარე მოგების გადასახადი		(387,655)	(179,155)
სულ ვალდებულებები		**(5,890,675)**	**(5,331,438)**
სააქციო კაპიტალი		(841,800)	(841,800)
დამატებითი კაპიტალი		(325,557)	(325,557)
გაუნაწილებელი მოგება		(60,939)	(1,315,022)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(1,228,296)**	**(2,482,379)**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**(7,118,972)**	**(7,813,818)**

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკ 2016	31 დეკ 2015
საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები	შენიშვნა 13	1,910,742	1,821,365
საპროცენტო და მსგავსი ხარჯები	შენიშვნა 13	(417,722)	(67,093)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**1,493,020**	**1,754,273**
საკომისიო შემოსავალი		117,351	-
სხვა შემოსავალი		19,812	41,535
წმინდა საკომისიო შემოსავალი		**137,164**	**41,535**
			-
სხვა ფინანსური მუხლები		85,049	1,508,964
ზარალი უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციებიდან		32,500	(13,055)
სხვა არასაპროცენტო საოპერაციო შემოსავლები		**117,550**	**1,495,909**
გაერთიანებული შემოსავლები		**1,747,733**	**3,291,716**
თანამშრომლების ანაზღაურების ხარჯი		(415,632)	(383,599)
ცვეთის ხარჯი		(59,498)	(42,007)
ამორტიზაციის ხარჯი		(2,030)	(1,437)
სესხების გაუფასურების ხარჯი		(821,033)	(1,494,529)
სხვა ხარჯები	შენიშვნა 11	(705,559)	(568,021)
საოპერაციო ხარჯები		**(2,003,752)**	**(2,489,594)**
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**(256,019)**	**802,123**
მოგების გადასახადის ხარჯი		(179,540)	(189,416)
წლის შედეგი		**(435,559)**	**612,707**

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

აღწერა	2016	2015
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	529,838	333,122
სხვა შემოსულობები	527,372	415,824
სესხის დაბრუნება	6,071,336	5,531,670
სესხის გაცემა	(4,847,101)	(5,131,115)
შემოსავალი ჯარიმებიდან და საკომისიოებიდან	(6,857)	5,017
შემოსულობანი ფინანსური ინსტრუმენტებიდან	**2,274,589**	**1,154,518**
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(407,677)	(307,125)
პერსონალზე გაცემული ფულადი სახსრები	(414,747)	(360,626)
გადახდილი გადასახადები	(520,821)	(412,679)
სულ წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**931,345**	**74,088**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(9,206)	(201,826)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(5,983)
სულ წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(9,206)**	**(207,809)**
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხები	-	790,906
სესხის ძირის გადახდა	(624,810)	(598,034)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	97,982	79,393
სულ წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**(526,827)**	**272,265**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/კლება	**395,311**	**138,543**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგები პერიოდის დასაწყისისთვის	**257,357**	**118,814**
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგები პერიოდის ბოლოსათვის	**652,668**	**257,357**

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
საწესდებო კაპიტალში ცვლილებების უწყისი

თანხები მოცემულია ლარში	სააქციო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	დამატებითი კაპიტალი	სულ
ბალანსი 31, 2014 მდგომარეობით	**3,367,360**	**2,702,315**	**34,824**	**6,104,499**
დამატებითი კაპიტალის ზრდა	-	-	290,733	**290,733**
აქციონერთა კაპიტალის შემცირება	(2,525,560)	-	-	**(2,525,560)**
აქციონერთა დივიდენდი	-	(2,000,000)	-	**(2,000,000)**
წლის მოგება/ზარალი	-	612,707	-	**612,707**
ბალანსი 31, 2015 მდგომარეობით	**841,800**	**1,315,022**	**325,557**	**2,482,379**
დამატებითი კაპიტალის ზრდა	-	-	-	**-**
აქციონერთა კაპიტალის შემცირება	-	-	-	-
სხვა ცვლილებები კაპიტალში		(818,524)	-	**(818,524)**
წლის მოგება/ზარალი	-	(435,559)	-	**(435,559)**
ბალანსი 31, 2016 მდგომარეობით	**841,800**	**60,939**	**325,557**	**1,228,296**

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი
განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალი (ს/ნ 204568574) დარეგისტრირდა 2009 წელს, საქართველოში. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიას გააჩნიანი ფილიალი გლდანში.

ფაქტიური და იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, რუსთაველის N 37

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების გაცემა.

2.წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

3.საანგარიშგებო ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ქართულ ლარში (GEL), თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

4.ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

4.1 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს არსებულ ნაღდ ფულს, დეპოზიტებს ბანკებში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს. ასევე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის ვადა 90 დღეზე ნაკლებია. საბანკო ოვერდრაფტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვა ვალდებულებების სახით.

4.2 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს გარიგებასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და როდესაც ამ სარგებლის თანხის საკმარისად (საიმედოდ) განსაზღვრა შესაძლებელია. ხარჯები აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ გარიგების შედეგად კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გადინება და როდესაც ამ სარგებლის თანხის საკმარისად (საიმედოდ) განსაზღვრა შესაძლებელია. შემოსავლის აღიარებისათვის ასევე უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ქვემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმები:

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა ფინანსური აქტივისათვის, გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ვაჭრობისათვის გამიზნული ფინანსური აქტივი ან როგორც ფინანსური აქტივები, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით მოგება/ზარალზე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, როგორც საპროცენტო შემოსავლები და საპროცენტო ხარჯები, რომლებიც განსაზღვრულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

როდესაც ფინანსური აქტივის, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის, ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, მაშინ საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიყენებით ახალ (შემცირებულ) საბალანსო ღირებულებაზე.

საკომისიო შემოსავლები და ხარჯები
სესხის გაცემის საკომისიო, რომელიც წარმოიშობა სესხის გაცემის მომენტში გადავადებულია (ყველა პირდაპირ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესწორება. სხვა შემოსვალები და ხარჯები აღიარებულია დარიცხვის მეთოდით, როცა მომსახურება იქნა

გაწეული. პორტფელის მართვის და სხვა საკომისიოები აღრიცხულია მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით.

4.3 უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2016 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების ლარში გადაყვანისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსები იყო:

ვალუტა	კურსი
აშშ დოლარი	2.6468

4.4 გადასახადები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი შეადგენს 15%-ს. ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადის გამოთვლა ხდება ანგარიშგების მომზადების მომენტში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების და შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენებით. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ზარალები გადავადდება 5 წლის ვადით.

გადავადებული გადასახადების ანალიზი დროებითი სხვაობების ტიპების მიხედვით ფასს-სა და საქართველოში მოქმედ საგადასახადო კოდექსს შორის არსებული სხვაობები იწვევს დროებით განსხვავებებს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების შორის ფინანსურ და საგადასახადო მიზნებისთვის დათვლილ ღირებულებებს.

საგადასახადო ეფექტი დროებითი სხვაობების მოძრაობაში 31 დეკემბრისთვის 2016 წელს უტოლდება ნოლს.

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი/პასივი ამოღებულია 2017 წელს.

2017 ფინანსური წლის დასაწყისიდან მოხდა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადს და რომლის მიხედვითაც კომპანია ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მხოლოდ დივიდენდის გაცემის მომენტში (რამდენიმე გამონაკლისით), ფასს და საგადასახადო მიზნებით მიღებული მოგება შესაბამისად ამ ცვლილებების შემდეგ ერთმანეთს გაუტოლდება და გადავადებული გადასახადის აქტივებს და ვალდებულებებს კომპანია მომავალში ვეღარ გამოიყენეს, შესაბამისად მოხდა მათი ელიმინაცია ანგარიშგებიდან.

4.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია აკუმულირებული ცვეთით შემცირებული ისტორიული ღირებულებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ამ აქტივების შეძენასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. აქტივების მიმდინარე რემონტის (შეკეთებისა) და შენახვის დანახარჯები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მათი გაწევის პერიოდის მიხედვით. ცვეთა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, რომელიც

გადანაწილებულია სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის დღიდან. სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერები	5 წელი
ავეჯი და სხვა	5-12 წელი
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	6 წელი

4. ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით, წლიური 10%-იანი განაკვეთით.

4.7 დასაკუთრებული აქტივები

გარკვეულ შემთხვევებში, სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ხდება აქტივებისა დასაკუთრება. დასაკუთრებული აქტივები ფასდება შესაბამისი სესხის საბალანსო ღირებულებასა და ამ აქტივის რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ მის სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით. დასაკუთრებული აქტივები ჩართულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ სხვა აქტივები-ს მუხლში.

4.8 სესხები

თავდაპირველად სესხები აღირიცხება მიღებული სახსრების სამართლიანი ღირებულებით უშუალოდ დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. შესაბამისად, შემდგომში სასესხო საშუალებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგება/ზარალი აღიარდება კომპანიის მოგება/ზარალისა და გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებაში, როდესაც წყდება ნასესხები სახსრების აღიარება, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესის საშუალებით.

4.9 კაპიტალი

საქციო კაპიტალი
ახალი აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა აქციების გამოშვებისა საწარმოთა გაერთიანების დროს, აისახება როგორც აქციონერთა საკუთარი სახსრების შემცირება. გამოშვებული კაპიტალში შენატანების მეტობა აქციების ნომინალურ ღირებულებაზე აღიარდება როგორც საემისიო კაპიტალი.

4.9 კაპიტალი (გაგრძელება)

დივიდენდები
დივიდენდი აღიარდება ვალდებულებად და გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი დამტკიცება მოხდა არაუგვიანეს ანგარიშგების თარიღისა. ინფორმაცია ანგარიშგების თარიღამდე რეკომენდირებულ დივიდენდებზე, რომლებიც გამოცხადდა ან დამტკიცდა ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისა, წარედგინება ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

4.10 ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთჩათვლა ხორციელდება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულება, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლის კანონიერი უფლება და ამავე დროს არსებობს ურთიერთჩათვლის განხორციელების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა

5.კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობას სჭირდება მსჯელობების, შეფასებების და დაშვებების გამოყენება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების განსაზღვრისათვის, რომელთა ღირებულება სხვა მხრივ ცალსახად ზუსტად ვერ განისაზღვრება. გამოყენებული შეფასებები და დაშვებები ეფუძნება ხელმძღვანელობის წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაბამის ინფორმაციას. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები მუდმივი გადახედვის და ხელახლა განხილვის საგანია. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ხდება შეფასების გადახედვა. შემდეგ ტექსტში მოცემულია ის ძირითადი დაშვებები, რომლებიც ეხება მომავალ მოვლენებს და აღწერილია ის წყაროები, რომელსაც ეყრდნობა მენეჯმენტი ამ შეფასებების გაკეთებისას და რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან რისკს იმისა, რომ არსებითი ცვლილებები გამოიწვიონ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების თანხებში.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობა იყენებს შეფასების მედოთებს ფინანსური ინსტრუმენტების (როდესაც აქტივის საბაზრო კოტირებები არ არის ხელმისაწვდომი) და არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით. ეს მოიცავს იმის განსაზღვრას, თუ რა შეფასებებს და დაშვებებს გამოიყენებდნენ ბაზრის მონაწილეები ასეთი ინსტრუმენტების შეფასებებისთვის. შეფასებების გაკეთებისას ხელმძღვანელობა შეძლებისდაგვარად ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, რომლებიც ყოველთვის ხელმძღვანელობა იყენებს ყველაზე ხელსაყრელ ინფორმაციას. ნავარაუდები სამართლიანი ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ფასებისგან, რომელიც დამოუკიდებელ მხარეებს შორის გარიგების შედეგად მიიღწევა ანგარიშგების თარიღისთვის.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიები ბიზნეს საქმიანობას ხშირად აწარმოებენ ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ტრანზაქციები ძირითადად ხორციელდება საბაზრო ღირებულებით. აქტიური ბაზრის არარსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებას, რათა განსაზღვროს განხორციელდა თუ არა ოპერაციები საბაზრო თუ საშეღავათო ფასებით. ეს დაშვებები ეფუძნება კლიენტებთან განხორციელებულ კომპლექსურ ოპერაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ დაკავშირებულ მხარეებს და ასევე ეფექტური განაკვეთის ანალიზს.

სესხების და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგვის რეზერვი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ახდენს გაცემული სესხებისა და დებიტორული დავალიანების შეფასებას გაუფასურებაზე. კერძოდ, ხელმძღვანელობა იყენებს დაშვებებს, როგორც ზარალის სიდიდის განსაზღვრისთვის, ასევე მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდისა და დროის ფაქტორის შეფასებისთვის. მოცემული შეფასებები ეფუძნება რიგი ფაქტორების დაშვებებს და რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს, რის შედეგადაც წარმოიქმნება ცვლილებები გაუფასურების რეზერვში.

დამატებით, გარდა გაუფასურების ინდივიდუალური მიდგომისა, რომელიც გამოიყენება არსებითი სესხებისა და დებიტორული დავალიანებებისთვის, კომპანია ასევე განსაზღვრავს გაუფასურებას ჯგუფური მეთოდით, იმ რისკის აღმოსაჩენად რომელიც, მართალია არ წარმოადგენს სპეციფიკურ რისკს, თუმცა აღემატება დასაშვებ დონეს სესხების გაცემის მომენტისათვის. რაც ასახავს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, ტექნოლოგიის დაძველება და ასევე სტრუქტურული სისუსტეები და ფულადი ნაკადების შემცირება.

საგადასახადო კანონმდებლო

საქართველოს საგადასახადო სისტემა წარმოადგენს შედარებით ახალ სისტემას და ხასიათდება კანონმდებლობის სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ხშირად განსჯის საკითხია. რიგ შემთხვევაში წარმოიქმნება აზრთაშორის სხვაობა სხვადასხვა საგადასახადო და იურიდიულ დაწესებულებებს შორის.

გადასახადები წარმოადგენს გადახედვისა და კვლევის საგანს საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც კანონით უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა.

6.ფული და ფულადი ექვივალენტები

ლარი	2016	2015
ნაღდი ფული	262	406
საბანკო ანგარიშები	652,406	256,951
დეპოზიტები	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**652,668**	**257,357**

7.ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები	სატრანსპორტო საშუალება	ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	სულ
ლარი						
ღირებულება						
იანვარი 1, 2016	33,172	113,169	55,830	35,938	129,470	**367,580**
მატება	3,002	-	-	4,201	160	**7,363**
კლება	-	-	-	-	(160)	**(160)**
დეკემბერი 31, 2016	**36,174**	**113,169**	**55,830**	**40,139**	**129,470**	**374,782**
დაგროვილი ცვეთა						
იანვარი 1, 2016	(17,455)	(85,420)	(4,502)	(7,420)	(9,728)	**(124,525)**
ცვეთის დარიცხვა	(4,600)	(17,391)	(11,166)	(7,121)	(19,220)	**(59,498)**
კლებაზე ცვეთის კორექტირება	-	-	-	-	-	**-**
დეკემბერი 31, 2016	**(22,055)**	**(102,811)**	**(15,668)**	**(14,541)**	**(28,948)**	**(184,024)**
საბალანსო ღირებულება						
იანვარი 1, 2016	**15,717**	**27,748**	**51,328**	**28,518**	**119,742**	**243,054**
დეკემბერი 31, 2016	**14,119**	**10,357**	**40,162**	**25,598**	**100,522**	**190,758**

8.სხვა აქტივები

ლარი	**2016**	**2015**
სხვა დებიტორები	**-**	**-**
სულ სხვა ფინანსური აქტივები	**-**	**-**
სხვა წინასწარ გადახდილი გადასახადები	**-**	**-**
დასაკუთრებული აქტივები	1,132,896	685,337
სხვა წინასწარ გადახდილი სასამართლო და აუქციონის გადასახადები	130,272	190,714
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	13,474	6,729
სულ არაფინანსური აქტივები	**1,276,643**	**882,780**
სულ სხვა აქტივები	**1,276,643**	**882,780**

დასაკუთრებული აქტივები

ლარი	2016	2015

უძრავი ქონება	1,113,909	660,684
სატრანსპორტო საშუალება	18,988	24,653
სულ დასაკუთრებული აქტივები	**1,132,896**	**685,337**

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივი წარმოადგენს კომპანიის მსესხებლის ან მსესხებლის თავდების საკუთრებაში არსებულ ქონებას რომელიც კომპანიამ შეიძინა აუქციონზე სესხის იძულებითი აღსრულების ღონისძიებების ფარგლებში. გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივის შეძენა ხდება მისი შემდგომში რეალიზაციის მიზნით და წარმოადგენს კომპანიის მარაგებს. მათ არ ერიცხებათ ცვეთა და არ მონაწილეობენ ქონების გადასახადის დათვლაში.

9.მიღებული სესხები

ლარი	**2016**	**2015**
ურთიერთდაკავშირებული პირებისგან მიღებული სესხები	5,265,420	4,979,508
სულ	**5,265,420**	**4,979,508**

10.სხვა ვალდებულებები

ლარი	**2016**	**2015**
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	177,278	106,304
სხვა ვალდებულებები	15,964	22,114
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები	**193,241**	**128,417**
დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ	316	316
საავანსო გადასახადი გაცემულ სესხებზე	-	-
სულ სხვა არაფინანსური ვალდებულებები	**316**	**316**
სულ სხვა ვალდებულებები	**193,558**	**128,734**

11.სხვა ხარჯები

	2016	**2015**
სარეკლამო ხარჯი	30,842	40,749
სამივლინებო ხარჯი	2,276	2,985
საიჯარო ხარჯი	169,931	108,227
გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	22,635	29,594
საოფისე ხარჯი	1,521	6,492
საბანკო ხარჯი	6,857	7,295
სარემონტო ხარჯი	9,756	5,437
კომუნალურები	8,403	5,212
დაცვის ხარჯი	4,896	2,556
საფოსტო ხარჯი	7,239	6,062
ტრანსპორტირების ხარჯი	18,874	18,213
მომსახურებისა და სხვა ხარჯები	55,644	77,440
დაზღვევის ხარჯი	4,745	1,916
გაწევრიანების ხარჯი	37,607	22,760
ვალდებულების ჩამოწერა	3,895	13,061

სხვა ხარჯი	320,437	220,022
სულ ხარჯები	**705,558**	**568,021**

12.ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ლარი		2016
	საბალანსო ღირებულება	**სამართლიანი ღირებულება**
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	652,668	652,668
გაცემული სესხები	4,992,141	4,992,141
	5,644,809	**5,644,809**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	5,265,420	5,265,420
სხვა ვალდებულებები	193,557	193,557
	5,458,978	**5,458,978**

ლარი		**2015**
	საბალანსო ღირებულება	**სამართლიანი ღირებულება**
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	257,357	257,357
გაცემული სესხები	6,267,628	6,267,628
	6,524,985	**6,524,985**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	4,979,508	4,979,508
სხვა ვალდებულებები	128,418	128,418
	5,107,926	**5,107,926**

13.საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები

ლარი	**2016**	**2015**
გაცემული სესხები	1,908,327	1,819,544
თანხები ბანკებისგან	2,415	1,822
ინდივიდუალურად გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტი	-	-
სულ საპროცენტო და მსგავსი შემოსავლები	**1,910,742**	**1,821,365**

ლარი	**2016**	**2015**
მიღებული სესხები	(417,722)	(67,093)
სულ საპროცენტო და მსგავსი ხარჯები	**(417,722)**	**(67,093)**